



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

2021 წლის  
ადგილობრივი  
თვითმმართველობის  
არჩევნების  
ბრძელვადიანი  
სადაზვერებლო მისიის  
II შუალედური ანგარიში

აგვისტო - სექტემბერი



**2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის  
არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო  
მისიის II შუალედური ანგარიში  
აგვისტო – სექტემბერი**

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.



**კვლევის ხელმძღვანელები:** ნიკოლოზ სიმონიშვილი  
ვახუშტი მენაბდე

**წამყვანი მკვლევარი:** მარიამ ლაცაბიძე

**მკვლევარები:** თათია მიქელაძე  
ნიკოლოზ ოდიკაძე  
კოკა კილურაძე

**რედაქტორი:** ხათუნა ყვირალაშვილი

**ტექ. რედაქტორი:** ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
[www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

---

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	4
1. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება .....	7
2. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უზულებელყოფა .....	12
3. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება .....	14
4. აგიტაციაში უკანონო მონაწილეობა და სავარაუდოდ უკანონო მონაწილეობა ....	19
5. ამომრჩევლის მოსყიდვისა და სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები .....	20
6. სავარაუდო იძულების და მუქარის ფაქტები .....	23
7. წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები .....	26
8. პოლიტიკურად მოტივირებული და სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები .....	27
9. პოლიტიკური პარტიისთვის საქმიანობაში ხელშეშლა .....	29
10. სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება .....	33
შემთხვევები, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდის (1-ლი მაისი - 31 ივლისი) განმავლობაში მოხდა, მაგრამ საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შესაბამის ანგარიშში არ შევიდა, იმ მომენტისთვის მათზე საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო .....	34

## შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2021 წლის მაისიდან დაიწყო პროექტის - „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია“ - იმპლემენტაცია. გრძელვადიანი დაკვირვების მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა დაკვირვების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება.

კონსტიტუციის და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, პრეზიდენტმა 2021 წლის 2 აგვისტოს გამოსცა განკარგულება 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ.<sup>1</sup> არჩევნებამდე 60 დღით ადრე, 3 აგვისტოდან, სპეციალური წესები ამოქმედდა. წინამდებარე ანგარიში სწორედ ამ პერიოდის ძირითადი ნაწილის შეფასებას ისახავს მიზნად. ის მოიცავს 3 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით მომხდარი ფაქტების შესახებ ინფორმაციას (წინამდებარე ანგარიშში არ შევიდა რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც მითითებულ პერიოდში მოხდა, თუმცა ამ ეტაპზე მათი შესწავლა დასრულებული არ არის. ამ საქმეებში პრობლემური გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ორგანიზაცია უფლებას იტოვებს, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მომდევნო ანგარიშებში ასახოს ისინი), თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის დარღვევებს არ აფასებს. დოკუმენტი ასევე ინტერესდება ისეთი ქმედებებით, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას. მათი ერთი ნაწილი, საიას აზრით, მომავალში ნორმატიულ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს, მეორე ნაწილის აღმოსაფხვრელად კი ორგანიზაცია შესაბამის პირებს ქვეყნის ცვლილების მიმართულებით აძლევს რეკომენდაციას.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო კომისიები ახლებური წესით, პირველი კენჭისყრის დროს მაღალი კვორუმის პრინციპით დაკომპლექტდა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი არჩევნებისთვის პირველ ჯერზე ზემდგომ კომისიებში ხმათა 2/3 უმრავლესობა იყო საჭირო. თუმცა, თუ ეს რაოდენობა ვერ შეგროვდებოდა, ბოლო ცვლილებები წევრების აბსოლუტური უმრავლესობით შერჩევის შესაძლებლობასაც ტოვებდა (ე.წ. ანტიკრიზისული მექანიზმი). საოლქო კომისიების შერჩევის პროცედურაში ეს უკანასკნელი ჩანაწერი 19 აპრილის შეთანხმებას ეწინააღმდეგება. მის დასაცავად საპარლამენტო უმრავლესობამ პროცესის ხელოვნურად შეფერხების გამორიცხვის არგუმენტი დაასახელა. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია მიიჩნევს, რომ ეს არ უნდა გამხდარიყო შეთანხმებით გათვალისწინებულ წესზე უარის თქმის საფუძველი. მმართველი პარტიის სკეპტიციზმის საპირისპიროდ, საოლქო კომისიის დროებითი წევრების ნახევარი ხელისუფლებასა ოპოზიციას შორის შეთანხმების საფუძველზე დაინიშნა. მართალია, ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ კენჭისყრის პროცესებში მონაწილეობა არ მიიღო (ამ გადაწყვეტილებას საიასთვის არასაკმარისი არგუმენტები ედო საფუძველად), თუმცა პრაქტიკა ადასტურებს, რომ კონსენსუსზე ორიენტირებული მიდგომით გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია. შესაბამისად, არ არსებობს საოლქოს კომისიის წევრების უფრო დაბალი კვორუმის პირობებში შერჩევის რეალური საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესში, ორივე დონეზე, პრობლემა დაბალი კონკურენცია იყო. ამის მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორი იყოს, მათ შორის, წევრების და, შესაბამისად, ვაკანსიების რაოდენობის ზრდა. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში შერჩევა მცირე დროში მიმდინარეობდა. განაცხადების წარდგენის უა-

<sup>1</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N02/08/01 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39Jubpm>, განახლებულია: 27.09.2021.

დრესად მოკლე ვადებმა ხელი შეუშალა ინფორმაციის გავრცელებას და აპლიკანტების შესაძლებლობას, შემოეტანათ განაცხადები. საიას შეფასებით, პროცესის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია, გადაიხედოს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ვადები.

COVID-19-ით გამოწვეული ეპიდსიტუაციის გავლენა კვლავ შეინიშნებოდა წინასაარჩევნო აქტივობებზე. პოლიტიკური პარტიები გამოვიდნენ ინიციატივით, მოსახლეობას აცრის პროცესში დახმარებოდნენ. ამაში ჩართული იყო პარტია „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“ და „ევროპული საქართველო“. თუმცა, საარჩევნო კანონმდებლობით, პარტიებს ეკრძალებათ, მოქალაქეებს დაჰპირდნენ ან მიაწოდონ უფასო სერვისები. ეს ამომრჩევლის მოსყიდვაა. საიამ მოსყიდვისა და სავარაუდო მოსყიდვის სხვა შემთხვევებიც აღრიცხა, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ და პარტიას „საქართველოსთვის“ უკავშირდება.

გამოწვევად რჩება სამთავრობო პროექტების პერსონიფიცირება და კონკრეტულ პარტიასთან აფილირება. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი პარტიული ღონისძიებების დროს სახელისუფლებო ინიციატივებსა და პროექტებზე საუბრისას მუდმივად ხაზგასმით მიუთითებდა პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და ლიდერის ბიძინა ივანიშვილის როლზე, ასევე მის ფინანსურ წვლილზე. საიას აზრით, ამგვარი ფაქტები კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ართულებს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის გავლენას და ეწინააღმდეგება მათი ცხადად გამიჯვნის კარგი პრაქტიკის მოთხოვნას.

კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ამგვარი შემთხვევები გამოვლინდა ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთსა და ასპინძაში. ისინი შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ მიერ საჯარო სერვისით სარგებლობას, ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პოსტების გაზიარებას, ბიუჯეტიდან დაფინანსებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისას „ქართული ოცნების“ ატრიბუტიკის გამოყენებას. გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ აღრიცხა მმართველი პარტიის, აგრეთვე ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის მიერ საჯარო მოხელეების აგიტაციის მიზნებისთვის შეკრების ფაქტებიც. ჩამოთვლილი შემთხვევების ნაწილი ჯერ საოლქო კომისიებში, შემდეგ კი სასამართლოში გასაჩივრდა. ამ ინსტანციებმა სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებები მიიღეს, რომლებზეც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია ასევე თვალს ადევნებდა წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციაში მონაწილეობის წესების დაცვას. ამ მიმართულებით ორი შემთხვევაა აღსანიშნი: პირველში - ცესკოს წევრი ჩართულია ოპოზიციური კანდიდატის კამპანიაში, ხოლო მეორეში - სავარაუდოდ საუბნო კომისიის წევრი მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრას ესწრება.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თანდათან დაიძაბა წინასაარჩევნო გარემო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ვითარება შეიქმნა ქვემო ქართლში. რუსთავში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს დაესხნენ თავს. დმანისის მუნიციპალიტეტის ოპოზიციის შეთანხმებული მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრის დროს ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ მისი და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რა დროსაც ორი ადამიანი დაიჭრა. დაკავებულია ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, ის მმართველი პარტიის მხარდამჭერია. დმანისის ინციდენტს თბილისში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შორის მწვავე კონფლიქტი მოჰყვა, რომლის დროსაც მართველი პარტიის თავმჯდომარე ოპონენტს შეაგინა. სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა ვანში ოპოზიციური კანდიდატის წარდგენის ღონისძიებაზეც (საია ამ ფაქტსაც წვრილმანი ხულიგნობის მაგალითად მიიჩნევს). აქვე აღსანიშნავია ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერზე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით თავდასხმა ოზურგეთში და მოქმედი მერის (მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის) მიერ საკრებულოს წევრის სავარაუდო ფიზიკური შეურაცხყოფა იმავე მუნიციპალიტეტში.

საიამ აღრიცხა ოპოზიციის მიმართ ზეწოლისა და მუქარის სავარაუდო შემთხვევებიც. საუბარია ბიზნესმენებზე, ოპოზიციური პარტიების კანდიდატებსა და მათ მხარდამჭერებზე. მაგალითად, იმერეთსა და აჭარაში პარტია „საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატმა და პროპორციული სიის წევრებმა ამგვარ ფაქტებზე ღიად ისაუბრეს. მსგავსი შემთხვევების თაობაზე ჰყვებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ზუგდიდში და მაჟორიტარობის კანდიდატი ქობულეთში, ასევე „სტრატეგია აღმაშენებლის“ კანდიდატი სამტრედიის იანეთი-ბაშის მაჟორიტარულ ოლქში. ერთ-ერთმა ოპოზიციურმა არხმა გაავრცელა ინფორმაცია ბიზნესმენებზე



შესაძლო ზეწოლის შესახებ სამცხე-ჯავახეთში. ეს საქმეები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. საია სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ამ და წინა აბზაცში განხილული სავარაუდო დანაშაულები (აქ არ იგულისხმება წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა) სრულად გამოიძიონ, პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ, ხოლო საზოგადოებას მათი მიმდინარეობის შესახებ აცნობონ.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პოლიტიკური პარტიებისთვის კამპანიის წარმოებაში დაბრკოლებების შექმნის ფაქტებიც. მათგან აღსანიშნავია ტელეკომპანია „იმედის“ უარი თავის ეთერში ორი ოპოზიციური პარტიის - „ევროპული საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ უფასო სარეკლამო ვიდეორგოლების განთავსებაზე. პარტიებმა ამის გამო საჩივრით მიმართეს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელმაც მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ეს მიდგომა გაიზიარა სასამართლომაც და ტელეკომპანია დააჯარიმა. საია ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და პოზიტიურად აფასებს მას.

ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შესახებ. ეს წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის გამოქვეყნებას უკავშირდება და პარტიებს აგიტაციის წარმოების მიმართულებით სირთულეებს უქმნის.

აღსანიშნავია ასევე საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების ბანერებისა და პლაკატების დაზიანების შემთხვევები, რისი მსხვერპლიც არაერთხელ გახდა როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიცია. ამ შემთხვევაშიც, საია მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დაინტერესდნენ ანგარიშში შესული ფაქტებით.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საჯარო დაწესებულებებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ორი შემთხვევა.

# 1. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

## საოლქო საარჩევნო კომისიები

რეფორმის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიები შერეული პრინციპით კომპლექტდება, სადაც 8 პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრს ცესკო, ხოლო დანარჩენ 9-ს პარტიები ნიშნავენ.<sup>2</sup> პროფესიული 5 წევრი - 5 წლის ვადით, ხოლო 3 დროებით - შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე იკავებს ამ თანამდებობას.<sup>3</sup> საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსზე საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღე.<sup>4</sup> კანონმდებლობა კანდიდატებთან გასაუბრების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შესაბამისად, კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საოლქო კომისიის წევრები აირჩევიან ცესკოს მიერ, 2/3-ის უმრავლესობით.<sup>5</sup> საარჩევნო კოდექსით დამატებით განისაზღვრა ანტიკორუპციული მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, თუ პირველ ჯერზე ვერ შეგროვდება ხმების 2/3, მომდევნო კენჭისყრაზე კანდიდატს აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევენ.<sup>6</sup> ეს 19 აპრილის დოკუმენტით არ იყო გათვალისწინებული. საპარლამენტო უმრავლესობამ ამ ჩანაწერის არგუმენტად პროცესის ხელოვნურად შეფერხების შესაძლებლობის გამორიცხვა დაასახელა, რაც ხშირად გამოყენებული, მაგრამ არასაკმარისი არგუმენტია შეთანხმებისთვის გვერდის ასავლელად.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შერჩევა სწორედ რეფორმირებული კანონმდებლობის შესაბამისად მოხდა. უფრო კონკრეტულად:

1. ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი 3 აგვისტოს გამოაცხადა.<sup>7</sup> 219 ვაკანტურ თანამდებობაზე მან სულ 377 განაცხადი მიიღო.<sup>8</sup> 7-მა კონკურსანტმა ხარვეზის დადგენის შემდეგ არ წარადგინა შესწორებული დოკუმენტაცია, შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობა 370-მა პირმა განაგრძო.<sup>9</sup>
2. ცესკოს მონაცემებით, თითოეულ საოლქო კომისიაში 3 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა განაცხადების რაოდენობა ასე განაწილდა: 12 საოლქო კომისიაში - სამ-სამი კანდიდატი, 20-ში - ოთხ-ოთხი, 16 კომისიაში - ხუთ-ხუთი, 9-ში - ექვს-ექვსი, 11-ში - შვიდ-შვიდი, 4 კომისიაში - რვა-რვა, ხოლო 1-ში თერთმეტი კანდიდატი დარეგისტრირდა.<sup>10</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, 12 ოლქში შევიდა ზუსტად იმ რაოდენობის განაცხადი, რამდენი ვაკანტური ადგილიც იყო. ეს ნიშნავს, რომ აქ შერჩევის პროცესი რეალური კონკურენციის გარეშე წარმართა. ამის მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორი იყოს. ერთ-ერთი მიზეზი წინა არჩევნებთან შედარებით ვაკანსიების რაოდენობის გაზრდაა, თუმცა აღსანიშნავია განაცხადის წარდგენის უაღრესად მოკლე ვადა, რაც არც ინფორმაციის სათანადოდ გავრცელებისა და არც მათი ადრესატების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას არ იძლეოდა. კანდიდატთა განაცხადები მიიღებოდა 2 დღის განმავლობაში, 2021 წლის 4 აგვისტოდან 2021 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით, 18:00 საათამდე.<sup>11</sup>

<sup>2</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>3</sup> იქვე, მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>4</sup> იქვე, 20-ე მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>5</sup> „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3frBggU>, განახლებულია: 03.09.2021.

<sup>6</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის მე-16 ნაწილი.

<sup>7</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №102/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t4kCdM>, განახლებულია: 31.08.2021.

<sup>8</sup> „სტატისტიკური ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების არჩევასთან დაკავშირებით“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DjOpUz>, განახლებულია: 31.08.2021.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №102/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ.



3. კომისიის წევრებმა 2 დღეში შეისწავლეს 370 განაცხადი, ხოლო 7 აგვისტოს ისინი გაემგზავრნენ რეგიონებში და გამართეს გასაუბრებები.<sup>12</sup> კომისიის წევრები გაიყვნენ და ერთი დღის განმავლობაში ინდივიდუალურად შეხვდნენ 180 კანდიდატს. პროცესში მონაწილეობდა ცესკოს 14 წევრი<sup>13</sup> - როგორც პროფესიული, ისე პარტიების მიერ დანიშნული.<sup>14</sup> კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრების პროცესი სოციალურ ქსელ Facebook-ზე LIVE-რეჟიმში გადაიციმდა.<sup>15</sup> ცესკოს წევრების მხრიდან გამოჩენილი ინციდენტის, გასაუბრებოდნენ კანდიდატებს და ეს პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარემართათ, პოზიტიურად უნდა შეფასდეს. იმავდროულად, საია კვლავ ამახვილებს ყურადღებას დროის დეფიციტზე. ორ დღეში 370 განაცხადის განხილვა და 180 გასაუბრების ორგანიზება არაგონივრულია. ცესკოს წევრებს შორის კანდიდატების განაწილება და გასაუბრების ცალ-ცალკე ჩატარება ასევე არ არის ეფექტიანი. ასეთი პროცედურის შემდეგ კომისიის წევრები კონკრეტულ კანდიდატებთან მიმართებით ინფორმაციულად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც, გარდა იმისა, რომ, თავისთავად, პრობლემაა, ხელს უშლის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის შეთანხმებას.
4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა საოლქოების დაკომპლექტების პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს. ისინი კანდიდატების სიიდან საჯარო სექტორში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ააიპ-ებში დასაქმებული პირების გაცხრილვას მოითხოვდნენ.<sup>16</sup> იმავდროულად, დავით კირთაძის პოზიციით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), კომისიის გაყოფა და წევრების მიერ გასაუბრების ინდივიდუალურად ჩატარება იყო არაეფექტიანი გზა. დავით ჯინჯოლაძემაც („ევროპული საქართველო“) გაიზიარა ეს მოსაზრება. მისი შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც კომისია კანონმდებლობით არ არის ვალდებული, გასაუბრება ჩაატაროს, ხოლო კანდიდატთა ნაწილი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, შეუძლებელი იყო პროცესის რეალური შეფასება.<sup>17</sup> საიასთვის ბოლომდე ნათელი არ არის, რატომაც ეს არგუმენტები ბოიკოტირებისთვის საკმარისი, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოზიტიური წვლილის შეტანა შეეძლო.
5. მთლიანობაში, შერჩეული 218 კანდიდატიდან 105-მა მიიღო ცესკოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა (12 ან მეტი ხმა),<sup>18</sup> ხოლო 113 წევრი შეირჩა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ან მეტით, მაგრამ არა - 2/3-ით (9-11 ხმა).<sup>19</sup> აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატი, რომელსაც პარტია „ქართული ოცნების“ დანიშნულმა წევრმა დაუჭირა მხარი, საბოლოოდ შეირჩა კომისიის წევრად (თუ მათ პირველ ტურში ვერ მიიღეს საკმარისი ხმები, ეს მხარდაჭერა მეორე ტურში ჰქონდათ).

ამრიგად, არჩეული კანდიდატებიდან ნახევარი პროფესიულ წევრებს, ხელისუფლებასა ოპოზი-

<sup>12</sup> „ცესკოს წევრები საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრობის კონკურსანტებთან გასაუბრებებს გამართავენ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UGI4Rx>, განახლებულია: 23.08.2021.

<sup>13</sup> პარტიების - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დანიშნულმა კომისიის წევრებმა საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს პროტესტი გამოუცხადეს, მათ არც გასაუბრებებსა და არც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხოლო ცესკოს პროფესიული წევრი დიმიტრი ჯავახაძე არ ესწრებოდა გასაუბრებებს პირადი საპატიო მიზეზით, თუმცა კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო.

<sup>14</sup> გასაუბრებები ჩაატარეს ცესკოს წევრებმა: ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძე, ცესკოს მდივანი გიორგი ჯავახიშვილი, ცესკოს წევრი გიორგი მაგანია, ცესკოს წევრი გიორგი ჭიქაბერიძე, ცესკოს წევრი გია ცაცაშვილი, ცესკოს წევრი მაია ზარიძე, ცესკოს წევრი დიმიტრი ჯავახაძე, ნინო ბასილაია (პ/გ „ევროპული სოციალისტები“), ლევან ჯგერენაია (პ/გ „გირჩი“), ია პირტახია (პ/გ „საქართველოს ევროპული დემოკრატები“), ივანე ნორაკიძე (მპგ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“), არჩილ ანასაშვილი (პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სიორიძე (პ/გ „ლელო საქართველოსთვის“), ანა კობახიძე (პ/გ „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“).

<sup>15</sup> „ცესკოს წევრები საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრობის კონკურსანტებთან გასაუბრებებს გამართავენ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 6 აგვისტო.

<sup>16</sup> ცესკოს სხდომა, 00:49 წუთზე - დავით კირთაძის გამოსვლა, 00:55 წუთზე - დავით ჯინჯოლაძის გამოსვლა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Ba5rCF>, განახლებულია: 20.08.2021.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> პირველ კენჭისყრაზე 98-მა კანდიდატმა მიიღო 12 ან მეტი ხმა, მეორე კენჭისყრაზე - 7-მა.

<sup>19</sup> მეორე კენჭისყრაზე კანდიდატებმა მიიღეს 9 ხმა და მეტი.

ციას შორის შეთანხმების საფუძველზე დაინიშნა. მართალია, ამ უკანასკნელის ნაწილი შერჩევის პროცესში არ მონაწილეობდა, თუმცა ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კონსენსუსზე ორიენტირებული მიდგომით გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია და არ არსებობს რეალური საჭიროება, საოლქოს წევრები უფრო დაბალი კვორუმით შეირჩნენ. **ამდენად, საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრების დაკომპლექტების პროცედურაში ანტიკრიზისული მექანიზმი უნდა გაუქმდეს.**

**გარდა ამისა, აუცილებელია, გადაიხედოს საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვადები. საჭიროა შესარჩევი კონკურსი კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე გამოცხადდეს, ხოლო განაცხადის მიღებისა და განხილვისთვის გამოყოფილი დრო გაიზარდოს.** დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო, კომისიის წევრობაზე განაცხადი შეიტანონ, ხოლო კომისიას - შესაძლებლობა, მშვიდ გარემოში განიხილოს ისინი და მიიღოს გადაწყვეტილება. ეს, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს უფრო სამართლიანი და კონკურენტული პროცესის წარმართვას. შემჭიდროებულ ვადებთან დაკავშირებული პრობლემა აქტუალურია საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროსაც, რაზეც შემდეგ ქვეთავშია საუბარი.

### საუბნო საარჩევნო კომისიები

თვითმმართველობის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსი 8 აგვისტოს გამოცხადდა. განცხადებები საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში, 9-დან 12 აგვისტოს ჩათვლით მიიღებოდა.<sup>20</sup> კანონმდებლობის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის 8 პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს სრული შემადგენლობის 2/3-ით, იმ პირობით, რომ კანდიდატურას მხარი დაუჭირა, მათ შორის, 5 წლის ვადით არჩეულმა 3-მა წევრმა მაინც.<sup>21</sup> თუ კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების შესაბამის რაოდენობას, ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭირა აბსოლუტური უმრავლესობა (5 მუდმივი პროფესიული წევრიდან 3-ის ხმა აქაც აუცილებელია).<sup>22</sup>

73 საარჩევნო ოლქის 3 664 საარჩევნო უბანზე არსებულ 29 312 ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა 31 483 განცხადება შევიდა.<sup>23</sup>

- 2 153 საარჩევნო უბანზე (58,76 %), 8 ვაკანსიაზე შევიდა მხოლოდ 8 განაცხადი;
- 891 საარჩევნო უბანზე (24,32%) - 9 განაცხადი;
- 539 საარჩევნო უბანზე (14,71%) - 9 განაცხადზე მეტი.

განცხადებების სიმცირის პრობლემა გამოვლინდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც. დაბალი კონკურენციის პირობებში მცირდება საუბნო საარჩევნო კომისიების მაღალპროფესიონალური კადრებით დაკომპლექტების შესაძლებლობა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, იგივე იყო, რაც საოლქო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში.

საუბნო კომისიების წევრების არჩევა შემჭიდროებულ ვადებში, 14 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა.<sup>24</sup> დრო, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული, მცირე ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, მიღებული განაცხადების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის. **სასურველია, გაიზარდოს როგორც განაცხადების მიღების, ისე მათი დამუშავების პერიოდი და ეს პროცესი არ იყოს დამოკიდებული არჩევნების**

<sup>20</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №97/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38AIV9K>, განახლებულია: 01.09.2021.

<sup>21</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>22</sup> იქვე, 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>23</sup> „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BupY5m>, განახლებულია: 01.09.2021.

<sup>24</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №97/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

**ოფიციალურად გამოცხადების თარიღზე.** ამაზე საუბრობს უუთოც, რომლის აზრითაც, შესაძლებელია, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისა და განხილვისთვის დადგენილი ვადების გახანგრძლივება.<sup>25</sup>

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის შერჩევაში მონაწილეობა ეკრძალება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, თუ ის არის კანდიდატის ოჯახის წევრი.<sup>26</sup> ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, კომისიების 145-მა წევრმა, ნათესაური კავშირის გამო, არჩევის პროცესში მონაწილეობა არ მიიღო.<sup>27</sup>

2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე გამოირიცხა პროფესიული ნიშნით იმ პირის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა, რომელიც წინა საერთო არჩევნებზე კომისიაში პარტიული ნიშნით იყო განწესებული.<sup>28</sup> ამ მიზეზით 903 კონკურსანტი გამოეთიშა შერჩევის პროცესს.<sup>29</sup> შედეგად, არცერთი პირი ამ წესის დარღვევით არ არჩეულა.

საერთო ჯამში, საუბნო საარჩევნო კომისიების 29 086 წევრიდან 25 730 (88.46%) შეირჩა მაღალი კვორუმით (12 ან მეტი ხმით),<sup>30</sup> 3 330 წევრი (11.44%) - 10 ან 11 ხმით. ასარჩევად საკმარისი მინიმალური 9 ხმა მხოლოდ 26-მა წევრმა (0.089%) მიიღო.<sup>31</sup>

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მონდომება, მაქსიმალურად სწრაფად გაესაჯაროებინა კონკურსანტების შერჩევის პროცესის შედეგად სტატისტიკურ მონაცემებში გამოვლენილი ტენდენციები.

ცესკოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიერ არაერთი საჩივარი შევიდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ათობით კანდიდატის განცხადება ერთი და იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართიდან გამოიგზავნა,<sup>32</sup> ხოლო ხელით დაწერილი განცხადებების ნაწილი იდენტური კალიგრაფიით იყო შევსებული.<sup>33</sup> ცესკომ მიიჩნია, რომ საჩივრებში მითითებული ფაქტები არ მიეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც საოლქო საარჩევნო კომისიებს ამ პირების არჩევის უფლება არ ჰქონდათ.<sup>34</sup> ეს გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, თუმცა გაუგებარია, რატომ ვერ შეძლეს კანდიდატებმა, თავად შეეცაოთ განცხადებები, ან უსარგებლათ საკუთარი ელექტრონული ფოსტით. გამოვლინდა კიდევ ერთი პრობლემა - კონკურსში მონაწილეობის შესახებ რამდენიმე განცხადებაზე არსებული ხელმოწერა ერთმანეთს ჰგავდა. ასეთ ფაქტებზე ცესკომ პროკურატურას მიმართა.<sup>35</sup>

<sup>25</sup> უუთოს 2020 წლის ანგარიში, გვ 17.

<sup>26</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>27</sup> „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო.

<sup>28</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>29</sup> „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> იქვე, 17 ხმით აირჩიეს საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი; 16 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 5 წევრი; 15 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 719 წევრი; 14 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 4 102 წევრი; 13 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 9 391 წევრი; 12 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 11 511 წევრი; 11 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 2 872 წევრი; 10 ხმით - საუბნო საარჩევნო კომისიის 458 წევრი.

<sup>32</sup> №80 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lOZC7x>, განახლებულია: 27.09.2021; №1 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nRrPt>, განახლებულია: 27.09.2021; №60 საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39u6dOI>, განახლებულია: 27.09.2021; №2 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Z7PIKj>, განახლებულია: 27.09.2021; №79 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ztcfd>, განახლებულია: 27.09.2021; №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AtB8qv>, განახლებულია: 27.09.2021.

<sup>33</sup> საჩივრები ხელმისაწვდომია: №80 საოლქო საარჩევნო კომისია - <https://bit.ly/3lOZC7x>, №60 საარჩევნო კომისია - <https://bit.ly/39u6dOI>, №2 საოლქო საარჩევნო კომისია - <https://bit.ly/2Z7PIKj>, №79 საოლქო საარჩევნო კომისია - <https://bit.ly/3ztcfd>, №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია - <https://bit.ly/3AtB8qv>.

<sup>34</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 19 აგვისტოს №180/2021 განკარგულება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების საოლქო საარჩევნო კომისიებში 2021 წლის 17 აგვისტოს საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის ნომრები: 2700; 2701; 2702; 2703; 2704; 2705; 2706; 2707; 2708; 2709; 2710; 2711) შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3o1uELU>, განახლებულია: 21.09.2021.

<sup>35</sup> იქვე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრის მიხედვით, საარჩევნო კომისიებში მათ წევრებს ზოგ შემთხვევაში არ ჰქონდათ საკონკურსო განაცხადების სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობა.<sup>36</sup> ცესკომ ის არ დააკმაყოფილა, თუმცა განკარგულებაში, რომლითაც მან რამდენიმე და, მათ შორის, ამ საჩივარზე მიიღო გადაწყვეტილება, მოტივაცია აღნიშნული არ არის.<sup>37</sup> სადამკვირვებლო მისია მიიჩნევს, რომ კომისიის ყველა წევრს კანონის შესაბამისად ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასალებზე. საია მოუწოდებს ცესკოს, რომ ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტისას მკაფიოდ მიუთითოს ის არგუმენტები, რომლებსაც მისი აქტის სარეზოლუციო ნაწილი ეყრდნობა.

---

<sup>36</sup> №80 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი; №1 საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენლის საჩივარი.

<sup>37</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №180/2021 განკარგულება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების საოლქო საარჩევნო კომისიებში 2021 წლის 17 აგვისტოს საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის ნომრები: 2700; 2701; 2702; 2703; 2704; 2705; 2706; 2707; 2708; 2709; 2710; 2711) შესახებ.



## 2. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უზულებელყოფა


ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“.<sup>38</sup> ამ პრინციპის დაცვა ვერ უზრუნველყო მმართველმა პარტიამ. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი პარტიული ღონისძიებების დროს სახელისუფლებო ინიციატივებსა და პროექტებზე საუბრისას მუდმივად ხაზგასმით მიუთითებდა პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და ლიდერის ბიძინა ივანიშვილის როლზე, ასევე მის ფინანსურ წვლილზე.

მაგალითად, 26 აგვისტოს სენაკში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ვახტანგ გადელი-ას წარდგენისას ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს და ისაუბრა ფონდ „ქართუს“ და სახელმწიფოს ერთობლივ პროექტზე, რომლის შედეგადაც სრულად აღდგება ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი.<sup>39</sup> მან იქვე ხაზი გაუსვა სენაკის სახელმწიფო თეატრის განახლების პროცესში ფონდ „ქართუს“ წვლილს. მისი თქმით, ამაში ფონდმა 10 მილიონი ლარი დახარჯა და სენაკს დაუბრუნა ისტორიული თეატრი.<sup>40</sup> ამავე ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ოთარ დანელია, რომელმაც ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ნოქალაქევის ციხე-ქალაქის რეაბილიტაციის პროექტსა და ფონდ „ქართუს“ ფინანსურ მხარდაჭერაზე.<sup>41</sup>

27 აგვისტოს ხობში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ დავით ბუკიას წარდგენისას მთავრობის მეთაურმა განაცხადა: „სოფელ ხიბულაში პრეზიდენტის მემორიალური სახლი აღადგინა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ასევე, მისი გადაწყვეტილებით, სახლის ტერიტორიაზე აშენდა ულამაზესი ტაძარი და კეთილმოეწყო ტერიტორია, რაშიც ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფონდის მიერ 13 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამისთვის მადლობა პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მადლობა ფონდ „ქართუს“.“<sup>42</sup>

4 სექტემბერს ქუთაისის მერობის კანდიდატ იოსებ ხახალაიშვილის წარდგენის ღონისძიებაზე ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტზე საუბრისას კვლავ გაიხსენა ბიძინა ივანიშვილის ფინანსური შენატანი ერთი მილიარდი ევროს ოდენობით.<sup>43</sup>

ასევე, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც შემდგომ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამაც გააზიარა, პრემიერ-მინისტრის ვიზიტის



საქართველოს მთავრობა  
10 September at 17:49 ·  
საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიროზა გულოვანის სახლ-მუზეუმში იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურს მუზეუმის ხელმძღვანელმა ციცილო გაბუდაურმა უმასპინძლა და რეაბილიტრებული მუზეუმში და გამოფენილი ექსპონატები დაათვალიერებინა.

როგორც მუზეუმის დირექტორმა აღნიშნა, დანგრევის პირას მყოფი მუზეუმის აღდგენა 2014 წელს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

რეაბილიტაციის ფარგლებში შენობა ძველი, ავტენტური სახით აღდგა. მუზეუმში მოეწყო ასევე სარდაფი, სადაც ლიტერატურული სალონი ფუნქციონირებს.

<sup>38</sup> Organization for Security and Co-operation in Europe, *Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE* (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vzFHWU>, განახლებულია: 13.09.2021.

<sup>39</sup> „ირაკლი ღარიბაშვილი - მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მხარდაჭერით ძალიან მალე სრულად აღვადგენთ ნოქალაქევის, ფონდმა „ქართუს“ 10 მილიონი ლარი დახარჯა და სენაკს დაუბრუნა ისტორიული თეატრი“, 2021 წლის 26 აგვისტო, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tpJeh9>, განახლებულია: 09.09.2021.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> „ოთარ დანელია - ნოქალაქევის რეაბილიტაციის პროექტი ამიერკავკასიაში უპრეცედენტოა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება“, 2021 წლის 26 აგვისტო, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zT4zLC>, განახლებულია: 09.09.2021.

<sup>42</sup> „ირაკლი ღარიბაშვილი: ხიბულაში პრეზიდენტის მემორიალური სახლი აღადგინა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ამისთვის მადლობა პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ფონდ „ქართუს“, საინფორმაციო პორტალი „PIA.ge“, 2021 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lae49B>, განახლებულია: 27.09.2021.

<sup>43</sup> ქუთაისის მერობის კანდიდატ იოსებ ხახალაიშვილის წარდგენა, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 4 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/396ZBGd>, განახლებულია: 09.09.2021.

შესახებ მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმში, სადაც აგრეთვე ხაზგასმულია ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა და ფინანსური წვლილი მუზეუმის აღდგენაში.

ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ლიდერია, ხოლო ფონდი „ქართუ“ - მის დაქვემდებარებაში მოქმედი ორგანიზაცია. კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული პროექტების ტირაჟირება ამომრჩევლისთვის ართულებს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის გავლებას. ფაქტობრივად, ეს არის პროექტები, რომლებსაც „ქართული ოცნების“ ლიდერი და სახელმწიფო ერთობლივად ახორციელებენ. ამ გზით, ის, რაც სახელმწიფოს ვალდებულებაა, პარტიის კეთილ ნებას და ქველმოქმედებას უკავშირდება. საია აღნიშნავს, რომ ეს ფაქტები კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და პარტიის ერთმანეთისგან ცხადად გამიჯვნის კარგი პრაქტიკის მოთხოვნას.



### 3. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

საარჩევნო კოდექსით, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო პერიოდში უკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. საიას შეფასებით, ყველა ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ეს წესი დაარღვია.

#### ქართული ოცნების მიერ შპს „ბათუმის წყლის“ ავტომობილით სარგებლობა

მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 16 აგვისტოს ბათუმში „ქართული ოცნების“ აჭარის ცენტრალურ ოფისში შპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით სკამები მიიტანეს.<sup>44</sup>



საარჩევნო კანონმდებლობით დაუშვებელია წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.<sup>45</sup> მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.<sup>46</sup> შპს „ბათუმის წყალი“ დაარსებულია ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი საწესდებო კაპიტალის წილით, ხოლო პარტნიორობის უფლებამოსილებას ახორციელებს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.<sup>47</sup> ამგვარად, „ბათუმის წყლის“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება მუნიციპალური ორგანოს საკუთრებაა.<sup>48</sup>

საიამ ფაქტი მმართველი პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესის დარღვევად შეაფასა და ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა, რომელიც არ დაკმაყოფილდა. სხდომაზე შპს „ბათუმის წყალმა“ წარმოადგინა გადახდის ქვითარი და ინვოისი, რომლითაც დგინდებოდა, რომ პარტია „ქართულმა ოცნებამ“ შპს „ბათუმის წყლისგან“ მომსახურება შეიძინა.

ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წერილობითი უარი საიამ ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის შეფასებისას მოსამართლე დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ შპს „ბათუმის წყალს“, წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგების მიღების მიზნით უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.<sup>49</sup> მან დაადგინა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტიისთვის მომსახურება გაწეულია ანაზღაურების სანაცვლოდ. სასამართლოს შეფასებით, ის არგუმენტი, რომ შპს დაარსებულია ბათუმის მერიის მიერ, ვერ გამოდგება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების დასტურად, რადგან გაწეულ მომსახურებას შედეგად არ მოჰყოლია კერძო სამართლის სუბიექტის მიერ სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლო, თვითნებური გამოყენება.<sup>50</sup>

<sup>44</sup> „ბათუმის წყალი „ოცნების“ სამსახურში - ადმინისტრაციულ რესურსის გამოყენების ფაქტი“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 2021 წლის 16 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yU2DbP>, განახლებულია: 17.08.2021.

<sup>45</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>46</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>47</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 5 ოქტომბრის N763 ბრძანება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის წყლის“ წესდების დამტკიცების შესახებ, წესდების 1-ლი მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jYxldP>, განახლებულია: 17.08.2021.

<sup>48</sup> „ბათუმის წყალი“, მუნიციპალური ორგანიზაციების ჩამონათვალი ბათუმის მერიის საიტზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iTxh81>, განახლებულია: 17.08.2021.

<sup>49</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 3 სექტემბრის N4-1718/21 დადგენილება.

<sup>50</sup> იქვე.

ამის პარალელურად, მედიაში გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, სადაც პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი რეკავს „ბათუმის წყალში“ და სთხოვს სკამების გადატანას, თუმცა პასუხად მას ეუბნებიან, რომ „ბათუმის წყალს“ ასეთი სერვისი არ აქვს.<sup>51</sup>

საია არ დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას და ის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

### **ამბროლაურის მერის („ქართული ოცნების“ კანდიდატი) მიერ სამსახურებრივი ნიშნით პირთა შეკრება**

17 აგვისტოს ამბროლაურის მერი და, იმავდროულად, მერობის კანდიდატი ზვიად მხეიძე,<sup>52</sup> წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა.<sup>53</sup> შეხვედრა ღია სივრცეში გაიმართა. საუბარი შეეხო ამ სამსახურში არსებულ მდგომარეობას, პრობლემურ საკითხებსა და მათი მოგვარების გზებს.<sup>54</sup>

ზვიად მხეიძის პერსონალური Facebook-გვერდის მეშვეობით გავრცელდა ვიდეო, რომლის აღწერაშიც წერია: „დღეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების, კეთილმოწყობის და წყალმომარაგების სფეროს წარმომადგენლებს შევხვდი“. ვიდეოს დასაწყისში ჩნდება წარწერა „ქართული ოცნება“ და კანდიდატის საარჩევნო ნომერი.<sup>55</sup> აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა შეკრებილ პირებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა და განაცხადა, „თუ გვინდა, ეს ყველაფერი [იგულისხმება მუნიციპალური პროექტები] გაგრძელდეს, თქვენი არჩევანია“.<sup>56</sup>

საარჩევნო კოდექსი კრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. კერძოდ, აკრძალულია სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების თანამშრომლების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.<sup>57</sup> საია მიიჩნევს, რომ ზვიად მხეიძემ დაარღვია ეს მოთხოვნა და წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოიკვლია ეს საქმე და ააიპ-ების „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა“ და „მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრის“ დირექტორების ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მათ კანონდარღვევა არ ჩაუდენიათ.<sup>58</sup> ის ასევე დაეყრდნო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის წერილს, რომლითაც ირკვევა, რომ ეს იყო მოსახლეობასთან შეხვედრა და მასზე ააიპ-ების თანამშრომლების დასწრება წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა.<sup>59</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა.<sup>60</sup> ამ უკანასკნელმა შეხვედრა, მისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით, სამსახურებრივ შეკრებად შეაფასა და აღნიშნა, რომ ამას თა-

<sup>51</sup> ავეჯის გადაზიდვა მხოლოდ „ოცნებისთვის“, საინფორმაციო პორტალი BATUMELEBI.GE-ს Facebook-გვერდი, 2021 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=564218521534703>, განახლებულია: 27.09.2021.

<sup>52</sup> ზვიად მხეიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, ზვიად მხეიძე/Zviad Mkheidze-ის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xXRReGX>, განახლებულია: 18.08.2021.

<sup>53</sup> ზვიად მხეიძე/Zviad Mkheidze-ის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W2A7GH>, განახლებულია: 18.08.2021.

<sup>54</sup> „დღეს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის წარმომადგენლებს შევხვდი“, ზვიად მხეიძე/Zviad Mkheidze-ის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xx8TIN>, განახლებულია: 18.08.2021.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>58</sup> №24 ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 აგვისტოს №44/40 წერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CQLs1o>, განახლებულია: 27.09.2021.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 სექტემბრის №4/81-21 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი.



ვად ზვიად მხეიძის მიერ საკუთარ სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გაზიარებაც ადასტურებს.<sup>61</sup> სასამართლომ განმარტა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ სათანადოდ ვერ შეასრულა კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა და არ გამოჰკითხა ყველა ის პირი, რომელსაც, შესაძლოა, საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონოდა.<sup>62</sup> საბოლოოდ, სასამართლომ ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიას საქმე განსახილველად უკან დაუბრუნა,<sup>63</sup> რასაც საია პოზიტიურად აფასებს. თუმცა, სამწუხაროდ, საოლქო კომისიამ საქმის ხელახლა განხილვის შედეგადაც იგივე გადაწყვეტილება მიიღო, რაც პირველად.<sup>64</sup>


**ამბროლაურის სამხატვრო სკოლა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ პოსტებს აზიარებს**

2021 წლის 5, 15 და 16 სექტემბერს ააიპ ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლამ თავის Facebook-გვერდზე გააზიარა „ქართული ოცნებისა“ და ამბროლაურში ამ პარტიის მერობის კანდიდატის ზვიად მხეიძის მხარდამჭერი პოსტები.<sup>65</sup>



ხსენებული სამხატვრო სკოლა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.<sup>66</sup> მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებს კი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ეკრძალებათ საკომუნიკაციო თუ საინფორმაციო საშუალებების გამოყენება აგიტაციის მიზნით.<sup>67</sup> ამბროლაურის სამხატვრო სკოლამ კანონმდებლობის ეს მოთხოვნა უგულებელყო. საიამ ამ ფაქტის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა.

<sup>61</sup> იქვე.  
<sup>62</sup> იქვე.  
<sup>63</sup> იქვე.  
<sup>64</sup> ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 28 სექტემბრის N44/85 გადაწყვეტილება.  
<sup>65</sup> ამბროლაურის სამხატვრო სკოლის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ltNjxl>, განახლებულია: 16.09.2021.  
<sup>66</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილება, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, პროგრამული კოდი: 0502 0103.  
<sup>67</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.



### ოზურგეთის მერის (დამოუკიდებელი კანდიდატი) მიერ პირთა სამსახურებრივი ნიშნით შეკრება

10 სექტემბერს ოზურგეთის მოქმედი მერი და, იმავდროულად, მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი კონსტანტინე შარაშენიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ააიპ-ების თანამშრომლებს შეხვდა.<sup>68</sup> შეკრებაზე დამსწრე პირები საინფორმაციო ვიდეორგოლში თავად აცხადებენ, რომ მუნიციპალიტეტის მერიისა და ააიპ-ის თანამშრომლები არიან.<sup>69</sup> ისინი ასევე ადასტურებენ, რომ მერობის კანდიდატთან შეხვედრაზე მოვიდნენ და სამუშაო დროის ამოწურვაზე მიუთითებენ.<sup>70</sup> თავად კონსტანტინე შარაშენიძეც აცხადებს, რომ შეკრების მიზანი მისი, როგორც მერობის კანდიდატის, პოზიციების გაზიარება იყო.<sup>71</sup>

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, სამსახურებრივი ნიშნით საჯარო მოსამსახურეებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ის თანამშრომლების შეკრება სამუშაო დროის ვადით არ არის შეზღუდული<sup>72</sup> და ყოველთვის იკრძალება.<sup>73</sup> ამდენად, საია მიიჩნევს, რომ ფაქტი საჯარო მოსამსახურეების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების თანამშრომლების სამსახურებრივი ნიშნით შეკრების მაგალითია, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონდარღვევაა.<sup>74</sup>

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ამ ფაქტზე საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც ის დააკმაყოფილა და გამოსცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.<sup>75</sup> სასამართლო დაეთანხმა კომისიას და ოზურგეთის მერი სამართალდარღვევად ცნო.<sup>76</sup> საია პოზიტიურად აფასებს საოლქო საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს მოქმედებას.

<sup>68</sup> წინასაარჩევნო შეხვედრა კანონდარღვევით, ტელეკომპანია „იმედის“ ოფიციალური facebook-გვერდი, 2021 წლის 11 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m15SZO>, განახლებულია: 25.09.2021.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>73</sup> მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ მემორანდუმის მე-5 პუნქტი.

<sup>74</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>75</sup> ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 20 სექტემბრის №101849 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

<sup>76</sup> ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახელის გამოყენების შესახებ, საქმე №4-277-21, 29.09.2021.



## სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებისას „ქართული ოცნების“ სააგიტაციო ატრიბუტიკის გამოყენება

21 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებისას შპს „ნდს მშენებლობის“ წარმომადგენლებს ეცვათ „ქართული ოცნების“ სააგიტაციო ატრიბუტიკა - მაისურები და ქუდები.

წინასაარჩევნო პერიოდში აკრძალულია რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად აგიტაციასა და კამპანიაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.<sup>77</sup> ასპინძის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნდს მშენებლობას“ შორის დადებულია ხელშეკრულება სოფელ ნაქალაქევში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის შესახებ.<sup>78</sup> ხსენებული კომპანია კონკრეტულ სამუშაოებს აწარმოებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით.<sup>79</sup> ის მოქმედებს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საჯარო ფინანსების საფუძველზე. ამ პროცესში მმართველი გუნდის სასარგებლოდ აგიტაცია, საიას მოსაზრებით, უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. ორგანიზაციამ ამ ფაქტზე შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა.



<sup>77</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>78</sup> სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 7 ივლისის №77 ხელშეკრულება, სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zBjnV1>, განახლებულია: 23.09.2021.

<sup>79</sup> იქვე.

#### 4. აგიტაციური უკანონო მონაწილეობა და სავარაუდოდ უკანონო მონაწილეობა

##### ცესკოს წევრის მონაწილეობა „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიაში

12 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ ნიკა მელიას მთაწმინდის მოსახლეობასთან შეხვედრას ესწრებოდა<sup>80</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისიის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით კირთაძე.<sup>81</sup> საის შეფასებით, მან დაარღვია წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის კანონით დადგენილი მოთხოვნები, რადგან საარჩევნო კომისიის წევრს მასში მონაწილეობა ეკრძალება.<sup>82</sup> აგიტაციაში მონაწილეობის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა იწვევს 2000 ლარით დაჯარიმებას.<sup>83</sup> საიამ ამ ფაქტის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა.

##### საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სავარაუდოდ მონაწილეობა აგიტაციაში

21 სექტემბერს მთისპირის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი თამრიკო ვანაძე სავარაუდოდ „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას<sup>84</sup> დაესწრო.<sup>85</sup> კანონის მიხედვით, წინასაარჩევნო ღონისძიებაში მონაწილეობა აგიტაციაა.<sup>86</sup> განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც ეს ქმედება ეკრძალებათ,<sup>87</sup> მათ შორისაა ნებისმიერი ღონის საარჩევნო კომისიის წევრი.<sup>88</sup>

<sup>80</sup> ნიკა მელიას ოფიციალური facebook-გვერდი, 2021 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oc6Vc5>, განახლებულია: 25.09.2021.

<sup>81</sup> დავით კირთაძე, ცესკოს წევრი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i6HYed>, განახლებულია: 25.09.2021.

<sup>82</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>83</sup> იქვე, 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>84</sup> „ქართული ოცნების“ კანდიდატთან შეხვედრაზე საარჩევნო კომისიის წევრი იმყოფებოდა, საინფორმაციო პორტალი „გურიის მოამბე“, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CHnuka>, განახლებულია: 26.09.2021.

<sup>85</sup> „მთისპირი - შეხვედრა მოსახლეობასთან“, ავთანდილ თალაკვაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 21 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XOtvwj>, განახლებულია: 26.09.2021.

<sup>86</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი.

<sup>87</sup> იქვე, 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>88</sup> იქვე, „ა“ ქვეპუნქტი.



## 5. ამომრჩევლის მოსყიდვისა და სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები

საანგარიშო პერიოდში საიასთვის ცნობილი გახდა რამდენიმე მოსყიდვის ან სავარაუდო მოსყიდვის ფაქტის შესახებ. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოები ქვემოთ მოყვანილი ყველა შემთხვევით უნდა დაინტერესდნენ, რადგან ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია.<sup>89</sup> აუცილებელია მათ შეისწავლონ ეს საქმეები და საზოგადოებას გამოძიების შედეგები ამცნონ.

### პოლიტიკური პარტიების ინიციატივა მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესში დახმარების შესახებ

5 აგვისტოს „ევროპულმა საქართველომ“ ვაქცინაციის პროცესში მოსახლეობის დახმარების მიზნით ცხელი ხაზი აამოქმედა.<sup>90</sup> ცხელი ხაზის მეშვეობით, იმ ადამიანებს, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ ინტერნეტზე ან/და არ აქვთ შესაბამისი ცოდნა, აცრაზე რეგისტრაციაში დაეხმარებოდნენ.<sup>91</sup> ამ სერვისის მიღება პირებს პარტიის რაიონულ ორგანიზაციებში, ადგილზეც შეეძლოთ.<sup>92</sup>

რამდენიმე დღეში, 10 აგვისტოს, „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პარტიის ოფისებში მოსახლეობას აცრაზე დარეგისტრირებაში დაეხმარებოდნენ.<sup>93</sup>

13 აგვისტოს პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ ასევე გაავრცელა ინფორმაცია ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს აცრაზე რეგისტრაციაში დაეხმარებოდნენ და სამედიცინო კონსულტაციას გაუწევდნენ.<sup>94</sup>

17 აგვისტოს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატმა დავით კირკიტაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის გამო, რუსთავის მაცხოვრებელთა აცრის პუნქტებამდე მისვლასა და სახლში უკან დაბრუნებას უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფდნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და პარტიის მოხალისეები.<sup>95</sup> ამისთვის შეიქმნა სპეციალური ცხელი ხაზიც.<sup>96</sup>

პარტიას ეკრძალება წარმომადგენლისა ან სხვა პირის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება ან მათი დაინტერესება მომსახურების დაპირებით.<sup>97</sup> მოცემულ შემთხვევაში პარტიებმა მოქალაქეებს სერვისი შესთავაზეს უფასო რეგისტრაციისა ან გადაადგილების სახით, შესაბამისად, დაარღვიეს კანონის მოთხოვნები.

### „ქართული ოცნების“ მიერ პროდუქტების დარიგება

9 სექტემბერს წალენჯიხაში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ გოგა გულორდავას მხარდამჭერ Facebook-გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი ტექსტით - „საქველმოქმედო დღეები დაიწყო“. თანდართულ ფოტომასალაში ჩანს პარტიის აქტივისტების მიერ საკვები პროდუქტების შექმნისა და მოქალაქეებისთვის დარიგების ფაქტი.

<sup>89</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>90</sup> „ევროპული საქართველო“ ვაქცინაციის კამპანიას იწყებს, რომელიც მოქალაქეებს ვაქცინაზე რეგისტრაციაში დაეხმარება“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი არხი“, 2021 წლის 4 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VFQ4CO>, განახლებულია: 13.09.2021.

<sup>91</sup> იქვე.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბების თანამშრომლები მოსახლეობას ვაქცინაზე რეგისტრაციაში დაეხმარებიან“, საინფორმაციო პორტალი „imedineWS“, 2021 წლის 10 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zP75cu>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>94</sup> პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 13 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kL5yyV>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>95</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატ დავით კირკიტაძის ბრიფინგი, 2021 წლის 17 აგვისტო, დავით კირკიტაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hs0UE3>, განახლებულია: 13.09.2021.


<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების მიერ, პირადად ან ვინმეს მეშვეობით, მოქალაქეებისთვის საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა.<sup>98</sup> მოცემულ შემთხვევაში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტების დარიგებით ეს წესი დაარღვია და ამომრჩეველი მოისყიდა.



**პარტია „საქართველოსთვის“ აქტივისტების მიერ მოედნის აღდგენა და დასუფთავება**



10 სექტემბერს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ ახალგაზრდა აქტივისტებმა, რომლებიც პარტიის მხარდამჭერ ფერებსა და მაისურებში იყვნენ გამოწყობილნი, ქალაქ ჯვარში ფრენბურთის მოედანი ალაღვინა და დასუფთავა და მოაწესრიგა მიმდებარე ტერიტორია.<sup>99</sup>

ფიზიკური პირების მიერ საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც განკუთვნილია მუნიციპალიტეტის ორგანოთა კომპეტენციას, არის ამომრჩევლის მოსყიდვა.<sup>100</sup> პარტიამ „საქართველოსთვის“ ეს რეგულაცია დაარღვია.

**„ქართული ოცნების“ ხაშურის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატი მოქალაქეებს საზარაუდოდ მატერიალურად დაეხმარა**

სოციალურ ქსელ Facebook-ში გავრცელდა მოქალაქის სამადლობელი პოსტი, სადაც ის „ქართული ოცნების“ ხაშურის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატ ლევან გამრეკელს მადლობას უხდის შეშით მომარაგებისთვის.<sup>101</sup> კიდევ ერთ შემთხვევაში Facebook-გვერდზე „ხაშური ჩემი ქალაქი“ გამოქვეყნდა სამადლობელი წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ლევან გამრეკელმა

<sup>98</sup> იქვე.  
<sup>99</sup> პარტიის მხარდამჭერი Facebook-გვერდი - „წალენჯიხის საქართველოსთვის“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdSx0F>, განახლებულია: 15.09.2021.  
<sup>100</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.  
<sup>101</sup> „ხაშურის საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატი მოქალაქეებს მატერიალურ დახმარებას უწევს“, საინფორმაციო პორტალი „qartli.ge“, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m4Dkyq>, განახლებულია: 26.09.2021.

ერთ-ერთ ადამიანს ოპერაცია დაუფინანსა.<sup>102</sup>

წინასაარჩევნო პერიოდში აკრძალულია საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ, პირადად ან ვინმეს მეშვეობით, მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა.<sup>103</sup> მოცემული შემთხვევები, თუკი ისინი სიმართლეს შეესაბამება, ამ წესის დარღვევისა და მოსყიდვის მაგალითებია.

---

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

## 6. სავარაუდო იძულების და მუქარის ფაქტები

ამ და მომდევნო თავში განხილული ყველა სავარაუდო შემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ზოგ მათგანზე დაწყებულია გამოძიება, ნაწილი კი შესაბამისი ორგანოების რეაგირებას ელოდება. საია სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ფაქტები სრულად გამოიძიონ, პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართონ, ხოლო საზოგადოებას საქმეების მიმდინარეობის შესახებ აცნობონ.

### ბიზნესმენების საქმე

22 აგვისტოს ტელეკომპანია „მთავარ არხზე“ გავიდა სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი ბიზნესმენები გუბერნატორის ოფისში დაიბარეს.<sup>104</sup> მედიის თქმით, იქ იმყოფებოდნენ სუს-ისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები და მხარის რწმუნებულები.<sup>105</sup> მათ ბიზნესმენებს პარტია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ თანხის შემოწირულება მოსთხოვეს.<sup>106</sup> ეს ინფორმაცია შეიცავს სავარაუდო დანაშაულების - იძულებისა<sup>107</sup> და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების<sup>108</sup> ნიშნებს.

### პარტია „საქართველოსთვის“ კანდიდატების საქმე

8 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ ხაშურის მერობის კანდიდატმა ზვიად ტეფნაძემ განაცხადა, რომ ემუქრებიან როგორც პირადი, ისე მისი კომპანიების საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისა და უძრავი ქონების გადაწვით, ბიზნესსაქმიანობის შეჩერებით.<sup>109</sup> მისი თქმით, მუდმივად უკან დაჰყვებიან და უთვალთვალებენ.<sup>110</sup> ის ამბობს, რომ ზეწოლა ხორციელდება ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლების მხრიდან.<sup>111</sup> საიას შეფასებით, ეს შემთხვევა შეიცავს სავარაუდო დანაშაულის - მუქარის<sup>112</sup> ნიშნებს.

10 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა აჭარაში გამართა საგანგებო ბრიფინგი, სადაც საუბარი იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან მუქარისა და დაშინების ფაქტებზე.<sup>113</sup> აკაკი ბუჯანიძის თქმით, რომელიც ქედის პროპორციული სიის მე-10 ნომერია, ტელეფონზე დაუკავშირდნენ უცხო ნომრიდან და დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, თუ პარტიულ სიას არ დატოვებდა.<sup>114</sup> მეორე შემთხვევაში დალი დაგიძესთან, რომელიც შუახევის სიის მე-6 ნომერია, მისივე თქმით, მივიდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, უმრავლესობის წევრ ფრიდონ ფუტყარაძის წარმომადგენელი, რომელმაც სიის დატოვება მოსთხოვა. ამაზე მან უარი განაცხადა, რის შემდეგაც მის მუდლეს ქონების განადგურებით დაემუქრნენ.<sup>115</sup> საიას შეფასებით, ზემოაღნიშნული შემთხვევები შეიცავს სავარაუდო დანაშაულის - მუქარის<sup>116</sup> ნიშნებს.

<sup>104</sup> „დარეკეტებული ბიზნესი | „ოცნებამ« ბოლო ორ კვირაში 700 000 ლარზე მეტი შემოწირულება მიიღო“, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 22 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lqLFfF>, განახლებულია: 15.09.2021.

<sup>105</sup> იქვე.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი.

<sup>108</sup> იქვე, 332-ე მუხლი.

<sup>109</sup> „ხაშურის მერობის კანდიდატს ქურდული სამყაროს წევრების მეშვეობით ქონების გადაწვით ემუქრებიან“, საინფორმაციო პორტალი „Qartli.ge“, 2021 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZjtNft>, განახლებულია: 21.09.2021.

<sup>110</sup> იქვე.

<sup>111</sup> იქვე.

<sup>112</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი.

<sup>113</sup> „საგანგებო ბრიფინგი ბათუმის სათავო ოფისში“, ირაკლი მიქელაძის Facebook-გვერდი, 2021 წლის 10 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m8mn6q>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი.



### **რევაზ გვილიას საქმე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**

11 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარის ანა წითლაძის თქმით, მათი მხარდამჭერი რევაზ გვილია „ქართული ოცნების“ შტაბში დაიბარეს და მასზე ზეწოლა განახორციელეს.<sup>117</sup> კერძოდ, გვილიას მოსკოვში საქმიანობით აშანტაჟებდნენ და რუსეთში ექსტრადიციით ემუქრებოდნენ, თუ ის მმართველი პარტიის სასარგებლოდ არ იმუშავებდა.<sup>118</sup> განცხადებაში მითითებულია, რომ ზეწოლას ახორციელებდა ყოფილი დეპუტატი მერაბ ქვარაია, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი მამუკა წოწერია და უცნობი სამხედრო პირი.<sup>119</sup> როგორც ოპოზიციურ პარტიაში ამბობენ, ისინი რევაზ გვილიას სთხოვდნენ 30-კაციანი სიის მიტანას, რომლებიც 2 ოქტომბერს სამთავრობო კანდიდატს დაუჭერდნენ მხარს.<sup>120</sup>

11 სექტემბერს რევაზ გვილია ჟურნალისტებს შეხვდა და მომხდარი დაადასტურა.<sup>121</sup> მისი განცხადებით, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებთან შეხვედრის დროს მობილური ტელეფონი გამოართვეს და მის Facebook-გვერდზე გამოაქვეყნეს პოსტი, სადაც ეწერა, რომ იგი ტოვებდა პარტიას „ნაციონალურ მოძრაობასა“ და გიორგი გახარიას შორის არსებული კავშირების გამო“. <sup>122</sup> მისი თქმით, ტელეფონის დაბრუნების შემდეგ, ეს პოსტი დაუყოვნებლივ წაშალა. საიას შეფასებით, ზემოაღნიშნული შემთხვევები შეიცავს სავარაუდო დანაშაულის - იძულების<sup>123</sup> ნიშნებს.

### **გივი მგელაძის საქმე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**

15 სექტემბერს „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, ქობულეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატ გივი მგელაძეს უცნობმა პირებმა კანდიდატურის მოხსნა მოსთხოვეს.<sup>124</sup> მგელაძის თქმით, მას ორი დღის განმავლობაში უნდა მოეხსნა კანდიდატურა. სანაცვლოდ კი კომფორტულ ცხოვრებას დაჰპირდნენ.<sup>125</sup>

საიას წარმომადგენელი გაესაუბრა გივი მგელაძეს, რომელმაც ეს ინფორმაცია დაადასტურა. მისი თქმით, შემთხვევა დაახლოებით დამის 11 საათზე ზღვის სანაპიროზე მოხდა. მასთან უცნობი პირები მივიდნენ და უთხრეს, რომ თავს იღუპავდა კანდიდატურის დაყენებით და მისთვის უმჯობესი იქნებოდა, 2 დღის ვადაში უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. საიას შეფასებით, ეს შემთხვევა შეიცავს სავარაუდო დანაშაულის - იძულების<sup>126</sup> ნიშნებს.

### **ნიკა საკანელიძის საქმე („მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“)**

18 სექტემბერს პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მმართველ პარტიასთან დაკავშირებულმა პირებმა თავისუფლება შეუზღუდეს, ნიკა საკანელიძეს, მათ კანდიდატს სამტრედიის იანეთი-ბაშის მაჟორიტარულ ოლქში.<sup>127</sup> მასზე 8 საათის განმავლობაში ახდენდნენ ზეწოლას, ემუქრებოდნენ შვილების ჯანმრთელობის დაზიანებით

<sup>117</sup> „მუქარა და შანტაჟი „ოცნების“ მაღალჩინოსნების მხრიდან - ენმ-ს საგანგებო განცხადება“, საინფორმაციო პორტალი „TV-პირველი“, 2021 წლის 11 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YU82yV>, განახლებულია: 15.09.2021.

<sup>118</sup> იქვე.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> „ენმ-ის მხარდამჭერი რევაზ გვილია ზეწოლაზე საჯაროდ ალაპარაკდა“, საინფორმაციო პორტალი „ოდიში TV-ის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 11 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=2429063977237859>, განახლებულია: 15.09.2021.

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი.

<sup>124</sup> „ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატი მმართველ გუნდს მუქარაში ადანაშაულებს“, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 15 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lProRt>, განახლებულია: 16.09.2021.

<sup>125</sup> იქვე.

<sup>126</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი.

<sup>127</sup> გიორგი ვაშაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3koAkxB>, განახლებულია: 19.09.2021.

და სთხოვდნენ კანდიდატურის მოხსნას.<sup>128</sup> შედეგად, ნიკა საკანელიძემ დაწერა განცხადება კანდიდატურის მოხსნის შესახებ. პარტიის ინფორმაციით, განცხადება დაიწერა „ქართული ოცნების“ შტაბში, სამტრედიაში.<sup>129</sup> მოგვიანებით, ოპოზიციურმა პარტიამ და თავად საკანელიძემ ცესკოს მიმართეს იძულების გზით დაწერილი განცხადების გაუქმების მოთხოვნით. საია მიიჩნევს, რომ აღწერილი შემთხვევა შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს (ადამიანისთვის ნების გარეშე თავისუფლების აღკვეთა<sup>130</sup> და იძულება<sup>131</sup>).

---

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი.

<sup>131</sup> იქვე, 150-ე მუხლი.



## 7. წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები

ქვემოთ აღწერილია წვრილმანი ხულიგნობის ორი ფაქტი, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.<sup>132</sup> კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება სწორედ ასეთი ქმედებაა და ის შესაბამის პასუხისმგებლობას იწვევს.

### დაპირისპირება ვანში

11 სექტემბერს ვანში ოპოზიციის საერთო კანდიდატის წარდგენაზე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.<sup>133</sup> მანქანით ჩამოიარა მოქალაქემ, რომელიც გიგი უგულავას და მიხეილ სააკაშვილს აგინებდა და ლანძღავდა, რასაც მასა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. კადრებში ჩანს, როგორ აგინებენ ერთმანეთს მხარეები.<sup>134</sup>

### დაპირისპირება ევროკავშირის ოფისთან

23 სექტემბერს ევროკავშირის ოფისის წინ ნიკა მელიასა და ირაკლი კობახიძეს შორის მწვავე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაჭრის ფაქტს უკავშირდებოდა.<sup>135</sup> ინციდენტის დროს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ოპოზიციის ლიდერს შეაგინა.<sup>136</sup>

<sup>132</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

<sup>133</sup> „დაპირისპირება ვანში - უგულავა რომ გყავთ, ლამაზი კაროლი, ახალგაზრდას არ შეიძლება, მისცეს გზა, ყველგან ეგ რომ აგდია?!“, საინფორმაციო პორტალი „primetime“, 00:05 წუთი, 2021 წლის 11 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zA1qWK>, განახლებულია: 22.09.2021.

<sup>134</sup> იქვე.

<sup>135</sup> „ირაკლი კობახიძე და ნიკა მელია ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტ გაზეთის „Metronome“-ის youtube-არხი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EZZSsY>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>136</sup> იქვე, 0:41 წუთი.

## 8. პოლიტიკურად მოტივირებული და სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები<sup>137</sup>

### ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერის სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით ცემის ფაქტი

13 სექტემბერს ოზურგეთში მოქალაქე ლევან თავდიშვილს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ.<sup>138</sup> დაზარალებულის თქმით, მასზე თავდასხმის მიზეზი „ქართული ოცნების“ კრიტიკა გახდა, ხოლო თავდამსხმელები ე.წ. „ძველი ბიჭები“ იყვნენ, რომლებსაც ხელისუფლება ახალისებს.<sup>139</sup>

### „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით ცემის ფაქტი რუსთავში

20 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ივანე გველესიანს თავს დაესხნენ. მას ჩამტვრეული აქვს სახის ძვლები და მიღებული აქვს ტვინის შერყევა.<sup>140</sup> შემთხვევა ღამის საათებში მოხდა და თვითმხილველი არ ჰყავს.<sup>141</sup> საიას წარმომადგენელთან საუბრისას ივანე გველესიანმა განმარტა, რომ ის რუსთავში „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ დავით კირკიტაძის მხარდამჭერია.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ამ შემთხვევას გამოეხმაურა და დაგმო პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ფაქტები.<sup>142</sup> საიას ინფორმაციით, გამოძიება ცემის მუხლით<sup>143</sup> დაიწყო.<sup>144</sup>

### ოპოზიციის შეთანხმებული მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე მისი მხარდამჭერები პოლიტიკური მოტივით დაჭრეს

21 სექტემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში ოპოზიციის შეთანხმებული მერობის კანდიდატის, დმანისი მუნიციპალიტეტის მოქმედი მერის გიორგი ტატუნაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრის დროს სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა მისი და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის. შედეგად, ორი ადამიანი დაიჭრა.<sup>145</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო მოცემულ შემთხვევასაც გამოეხმაურა და დაგმო პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობრივი ფაქტები.<sup>146</sup>

22 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავა დმანისში მმართველი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის შვილი დავით დაუთაშვილი.<sup>147</sup> გამოძიებით დადგინდა, რომ მან დანის გამოყენებით სახის არეში დაზიანებები მიაყენა პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ორ მხარდამჭერს.<sup>148</sup>

<sup>137</sup> ამ თავის ზოგადი შეფასებისთვის იხილეთ თავის - „სავარაუდო იძულების და მუქარის ფაქტები“ - პირველი აბზაცი.

<sup>138</sup> „ოზურგეთში მცხოვრები ამბობს, რომ „ოცნების“ კრიტიკის გამო სცემეს“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“, 2021 წლის 13 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kbSPVJ>, განახლებულია: 15.09.2021.

<sup>139</sup> იქვე.

<sup>140</sup> „მოქალაქე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ, თავდასხმას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 21 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XzOHWM>, განახლებულია: 22.09.2021.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/usingeo/posts/10159470636972954>, განახლებულია: 27.09.2021.

<sup>143</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.

<sup>144</sup> „მოქალაქე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ, თავდასხმას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 21 სექტემბერი.

<sup>145</sup> „დმანისში ოპოზიციური კანდიდატის ორი მხარდამჭერი დაჭრეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 21 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XGLkx8>, განახლებულია: 23.09.2021.

<sup>146</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 21 სექტემბერი.

<sup>147</sup> „დმანისში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაჭრის ფაქტზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის შვილი დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nWbl6U>, განახლებულია: 23.09.2021.

<sup>148</sup> იქვე.

## ოზურგეთის მერის (მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი) მხრიდან სავარაუდო მუქარა და ძალადობა

„ქართული ოცნების“ საკრებულოს წევრი ვლადიმერ ჩავლეიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატს მუქარასა და ფიზიკურ ძალადობაში ადანამაულებს.<sup>149</sup> კერძოდ, საუბარია შარაშენიძის მხრიდან არჩევნებში მხარდაჭერისა და მხარდამჭერების მობილიზების მოთხოვნაზე, რაზეც მან უარი მიიღო. ამის შემდეგ ის ჩავლეიშვილს დაემუქრა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.<sup>150</sup> თავად შარაშენიძე, ჟურნალისტის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა შეხვედრა ჩავლეიშვილთან, პასუხობს, რომ მასაც და კიდევ ბევრ სხვა ადამიანს ხვდება წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში.<sup>151</sup> კონსტანტინე შარაშენიძემ საიასთან საუბარში ეს ფაქტი უარყო. უწყებათაშორის კომისიაში შსს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.<sup>152</sup>

<sup>149</sup> „ოზურგეთის მერს საკრებულოში ქართული ოცნების წევრი ძალადობაში ადანამაულებს“, საინფორმაციო პორტალი „იმედინიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XQxlpf>, განახლებულია: 25.09.2021.

<sup>150</sup> იქვე.

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის 8 სექტემბრის №5 სხდომის ოქმი.

## 9. პოლიტიკური პარტიისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

### ტელეკომპანია „იმედმა“ „ევროპულ საქართველოს“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გამშვებაზე უარი უთხრა

26 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედმა“ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტია „ევროპულ საქართველოს“ უარი უთხრა უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გამშვებაზე.<sup>153</sup> ვიდეორგოლში საუბარია, რომ ქვეყანას მართავენ არაკომპეტენტური, კორუმპირებული და მოღალატე ადამიანები. პარტია მოუწოდებს მოსახლეობას, რომ ერთად დაიცვან საქართველო ივანიშვილის რეჟიმისგან და დაუპირისპირდნენ ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობას, რასაც „ქართული ოცნება“ კორუფციით და დამინებით ინარჩუნებს.<sup>154</sup>

ტელეკომპანიამ რეკლამის გამშვებაზე უარის მიზეზად ვიდეორგოლში გამოყენებული სიძულვილის ენა დაასახელა.<sup>155</sup> „ტელეიმედი“ ასევე აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ვიდეომასალა შეიცავს დაცინვასა და შეურაცხყოფას, ხოლო მისი შინაარსი არაეთიკური და არაკეთილსინდისიერია.<sup>156</sup> ტელეკომპანიის განმარტებით, მათი საეთერო დრო ამგვარი გამოხატვის ტირაჟირებას არ დაეთმობა, რომელი პარტიიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის.<sup>157</sup>

ამ საქმეზე პარტიამ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართა. 12 სექტემბერს კომისიამ საჩივარი დააკმაყოფილა და მაუწყებელს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.<sup>158</sup> მოგვიანებით, სასამართლომ გაიზიარა კომისიის პოზიცია და მაუწყებელი 5000 ლარით დააჯარიმა.<sup>159</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ „ვიდეორგოლში გამოყენებული გამონათქვამები, გამოსახულება და ვიდეორგოლის პასაჟი არ შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის ენად და კონსტიტუციით დადგენილი ზოგადი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რაც, შესაძლებელია, გამხდარიყო მისი ტელეთერში გასვლაზე უარის თქმის საფუძველი.“<sup>160</sup>

რეკლამის გამშვებაზე უარის შემდეგ „ევროპულმა საქართველომ“ ტელეკომპანიას 7 სექტემბერს ალტერნატიული ვიდეორგოლი შესთავაზა, რაზეც კვლავ უარი მიიღო.<sup>161</sup> „იმედის“ შეფასებით, პოლიტიკური რეკლამის საერთო კონტექსტი, სარკასტული დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ვიდეორგოლის მიზანი კონკრეტული პირების შეურაცხყოფა და „ტელეიმედის“ დისკრედიტაციაა.<sup>162</sup>

„იმედმა“ ასევე არ გაუშვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ვიდეორგოლი, რომელიც მან პარტიისგან 17 სექტემბერს მიიღო.<sup>163</sup> ტელეკომპანიის განცხადებით, მათ ეთერში ვერ განთავსდება მასალა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, აქეზებს და ახალისებს დანაშაულს, ასევე მიმართულია არეულობისა და ანტისოციალური ქმედების გამოწვევისკენ.<sup>164</sup>

<sup>153</sup> „იმედმა“ „ევროპული საქართველოს“ წინასაარჩევნო რეკლამის გამშვებაზე უარი უთხრა - ვიდეო, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ugZPEp>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>154</sup> იქვე.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6066-21, 15.09.2021, გვ. 2.

<sup>157</sup> იქვე.

<sup>158</sup> „კომუნიკაციების კომისიამ იმედის წინააღმდეგ ევროპული საქართველოს სარჩელი დააკმაყოფილა“, პარტია „ევროპული საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 12 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZFaf0v>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>159</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6066-21, 15.09.2021.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>161</sup> გიორგი ნონიაშვილის ბრიფინგი „იმედის“ წინააღმდეგ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, „ევროპული საქართველოს“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CPAQuT>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>162</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6148-21, 19.09.2021, გვ. 2.

<sup>163</sup> „ნიკა მელია - დადგა დრო გამარჯვების“, 2021 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zPi3Or>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>164</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6147-21, 19.09.2021, გვ. 3.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა ეს საქმეები და მიიჩნია, რომ რეკლამების შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის ზოგად პრინციპებსა და კანონის მოთხოვნებს.<sup>165</sup> აქედან გამომდინარე, მან კომისიამ დააკმაყოფილა ორივე პარტიის საჩივარი და მიიჩნია, რომ „იმედმა“ ორივე შემთხვევაში დაარღვია კანონით დადგენილი წესები.<sup>166</sup> საქმეები სასამართლოში გადაიგზავნა, რომელმაც გაიზიარა კომისიის არგუმენტაცია და მიუთითა, რომ „ტელემედს“ არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, უარი ეთქვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო რეკლამების გაშვებაზე.<sup>167</sup>

საია იზიარებს და პოზიტიურად აფასებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

### **წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხისა და ადგილების გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა მუნიციპალიტეტის მიერ**

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია, წინასაარჩევნო კამპანია ჩატარდეს.<sup>168</sup> მათ ეს ინფორმაცია უნდა გადასცენ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ვალდებულია, ის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჯაროს.<sup>169</sup> მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე.<sup>170</sup> ყველა მუნიციპალიტეტს (გარდა დედოფლისწყაროს, მესტიის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებისა) ცესკოსთვის გაგზავნილი აქვს ინფორმაცია სააგიტაციო მასალების განთავსების შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, ასევე განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაჯარვად.<sup>171</sup> ამ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.<sup>172</sup> ეს ნუსხა ცესკოსთვის არ გაუგზავნიან კასპის, ქარელის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს. ამ და ზემოთ ჩამოთვლილმა მუნიციპალიტეტებმა დაარღვიეს კანონის მოთხოვნები, რითაც ხელი შეუშალეს პარტიებს საარჩევნო კამპანიის ნორმალურ პირობებში წარმართვაში.

### **სააგიტაციო მასალის დაზიანება**

საიასთვის ცნობილი გახდა საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატთა ბანერებისა და პლაკატების დაზიანების არაერთი შემთხვევის შესახებ. კანონის მიხედვით, დაუშვებელია სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება.<sup>173</sup> თუ ზიანის ღირებულება აღემატება 150 ლარს, საქმე სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება.<sup>174</sup> საია მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, მაქსიმალურად მოკლე ვალებში გამოიძიონ ქვემოთ მოცემული ფაქტები და პასუხისმგებელი პირები გამოავლინონ, პარტიებმა კი მეტი ძალისხმევა მიმართონ ამგვარი შემთხვევების შემცირებასა და საკუთარ აქტივისტებთან მუშაობაზე.

<sup>165</sup> „კომუნიკაციების კომისიამ „იმედის“ წინააღმდეგ „ევროპული საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრები დააკმაყოფილა“, კომუნიკაციების კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3COpHKA>, განახლებულია: 28.09.2021.

<sup>166</sup> იქვე.

<sup>167</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6147-21, 19.09.2021, გვ. 12.

<sup>168</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>169</sup> იქვე.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> იქვე 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>172</sup> იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>173</sup> იქვე, მე-7<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>174</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.





ა) ხელვაჩაურში 27 აგვისტოს<sup>175</sup> და 6 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ მიხეილ ბოლქვაძის ბანერები მოიპარეს.<sup>176</sup> საიას წარმომადგენელთან საუბრისას ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ ორივე ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. 18 სექტემბერს ამავე კანდიდატის პლაკატი დააზიანეს.<sup>177</sup>

ბ) 8 სექტემბერს თბილისში „ქართული ოცნების“ ბანერი დააზიანეს.<sup>178</sup>



გ) 13 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატმა გიგი უგულავამ გაავრცელა განცხადება ფოთში მისი საარჩევნო ბანერის ჩამოხვევის შესახებ.<sup>179</sup> საქმეზე გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების<sup>180</sup> მუხლით მიმდინარეობს.<sup>181</sup>

<sup>175</sup> „ხელვაჩაურის მერობის კანდიდატი ამბობს, რომ მისი საარჩევნო ბანერი მოიპარეს“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, 2021 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hzeSEm>, განახლებულია: 15.09.2021.

<sup>176</sup> ბანერის მოპარვასთან დაკავშირებით მიხეილ ბოლქვაძის Facebook-პოსტი, 2021 წლის 21 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AvqxLB>, განახლებულია: 21.09.2021.

<sup>177</sup> მიხეილ ბოლქვაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZvA73D>, განახლებულია: 25.09.2021.

<sup>178</sup> პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საკომუნიკაციო გუნდის მიერ მოწოდებული ინფორმაცია 2021 წლის 01/09/2021-დან 11/09/2021-მდე პერიოდში გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

<sup>179</sup> გიგი უგულავას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 13 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XLICbe>, განახლებულია: 22.09.2021.

<sup>180</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი.

<sup>181</sup> „ფოთში გიგი უგულავას ბანერი დააზიანეს“, საინფორმაციო პორტალი „ოდიშინუსი“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/39ft009>, განახლებულია: 15.09.2021.



დ) 22 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია თელავში „ნაციონალური მოძრაობის“ ბანერის დაზიანების შესახებ.<sup>182</sup>



გარდა ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ საიას საქართველოს მასშტაბით მათი სააგიტაციო მასალის დაზიანების არაერთი შემთხვევის შესახებ აცნობა. ასეთი ფაქტები გამოვლინდა რუსთავში (7 შემთხვევა), გორში (1 შემთხვევა), თერჯოლაში (2 შემთხვევა), ქუთაისში (2 შემთხვევა), ოზურგეთში (5 შემთხვევა), კასპში (1 შემთხვევა), ხელვაჩაურში (6 შემთხვევა), თელავში (6 შემთხვევა), ბაღდათსა (1 შემთხვევა) და ქარელში (2 შემთხვევა).<sup>183</sup>

საია ასევე ყურადღებას ამახვილებს 29 აგვისტოს ფაქტზე, როდესაც ზუგდიდში პოლიტიკური გაერთიანება „დროას“ ოფისის კარზე მიკრული სტიკერები დააზიანეს.<sup>184</sup>

<sup>182</sup> „სოფელ კურდღელაურში, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის საარჩევნო ბანერი დაზიანეს“, საინფორმაციო პორტალი „knews“, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kDgoqF>, განახლებულია: 24.09.2021.

<sup>183</sup> „ქართული ოცნების“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (ფოტომასალა) 01.09.2021-დან 11.09.2021-მდე; 10.09.2021-დან 17.09.2021-მდე; 11.09.2021-დან 14.09.2021-მდე, 17.09.2021-დან 20.09.2021-მდე, 20.09.2021-დან 28.09.2021-მდე პერიოდში მომხდარი დარღვევების შესახებ.

<sup>184</sup> „დღეს ზუგდიდში ჩვენი ოფისი დააზიანეს“, პოლიტიკური გაერთიანება „დროას“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jPrmZI>, განახლებულია: 08.09.2021.

## 10. სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება

მარინე აბულაძე ახალციხის მუნიციპალიტეტის ააიპ-ის საბავშვო ბაღების გაერთიანების იურისტად მუშაობდა,<sup>185</sup> თამარ აბულაძეს კი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობა ეკავა.<sup>186</sup> მათი განმარტებით, 24 აგვისტოს ისინი გუბერნატორმა შეხვედრაზე დაიბარა და სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერა მოსთხოვა. მიზეზად მათი პოლიტიკური არასანდობა და ლევან თათოშვილთან ნათესაური კავშირი დაუსახელა.<sup>187</sup> ლევან თათოშვილი მარინა აბულაძის შვილი და თამარ აბულაძის დისშვილია. იმ მომენტში მასსა და პარტია „საქართველოსთვის“ შორის თანამშრომლობის შესახებ კონსულტაციები მიმდინარეობდა. თათოშვილი ამჟამად სამცხე-ჯავახეთში პარტია „საქართველოსთვის“ კოორდინატორია. მარინე და თამარ აბულაძეებმა უარი თქვეს სამსახურიდან წასვლის შესახებ პირადი განცხადების დაწერაზე.<sup>188</sup>

25 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში ლევან თათოშვილმა ბრიფინგზე საზოგადოებას მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.<sup>189</sup> იმავე დღის მეორე ნახევარში თამარ<sup>190</sup> და მარინე<sup>191</sup> აბულაძეებმა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებები მიიღეს.

მარინე აბულაძის მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციით, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ის შეუერთდა პარტიას „საქართველოსთვის“ და ახალციხის საკრებულოს პროპორციული სიის პირველი ნომერია. სამსახურიდან მისი გათავისუფლების ბრძანებაში აღნიშნულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებისა და წესის დამდგენი ზოგადი ნორმები,<sup>192</sup> თუმცა კონკრეტული ფაქტობრივი დასაბუთება და გათავისუფლების საფუძველი მითითებული არ არის.

რაც შეეხება თამარ აბულაძეს, მისი გათავისუფლების ბრძანებაში საფუძვლად მითითებულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ზოგადი ნორმა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ,<sup>193</sup> ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ის ნორმა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს აპარატის უფროსისა და აპარატის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>194</sup> გათავისუფლების კონკრეტულ საფუძველზე ბრძანებაში არაფერია ნათქვამი და ის არც დასაბუთებას შეიცავს.

საიას მიაჩნია, რომ ორივე საქმეში შესაბამისი პირები თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლეს. ამის მიზეზი კი მათი პოლიტიკური კავშირები გახდა.

<sup>185</sup> „გახარიას პარტიის კოორდინატორის თქმით, მისი დედა და დეიდა სამსახურიდან გაათავისუფლეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3m9ნიიM>, განახლებულია: 07.09.2021.

<sup>186</sup> იქვე.

<sup>187</sup> „გუბერნატორმა დაგვიბარა და კატეგორიულად მოგვთხოვა განცხადების დაწერა - მარინა აბულაძე“, საინფორმაციო პორტალი „SKnews.ge“ - სანდო წყარო ახალციხიდან, 2021 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://sknews.ge/ka/news/33527>, განახლებულია: 07.09.2021.

<sup>188</sup> „გახარიას პარტიის კოორდინატორის თქმით, მისი დედა და დეიდა სამსახურიდან გაათავისუფლეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 26 აგვისტო.

<sup>189</sup> „სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ჩემი ოჯახის წევრებს სამსახურიდან წასვლა მოსთხოვა - გახარიას პარტიის კოორდინატორი“, საინფორმაციო პორტალი „SKnews.ge“ - სანდო წყარო ახალციხიდან, 2021 წლის 25 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://sknews.ge/ka/news/33515>, განახლებულია: 07.09.2021.

<sup>190</sup> ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თამარ აბულაძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 აგვისტოს №ბ13.13212371 ბრძანება.

<sup>191</sup> ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ააიპ-ის იურისტის მარინე აბულაძის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ააიპ-ის ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2021 წლის 25 აგვისტოს №ბ29.12212371 ბრძანება.

<sup>192</sup> საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები.

<sup>193</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 106-ე მუხლი.

<sup>194</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

**შემთხვევები, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდის  
(1-ლი მაისი - 31 ივლისი) განმავლობაში მოხდა, მაგრამ  
საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის  
შესაბამის ანგარიშში არ შევიდა, იმ მომენტისთვის  
მათზე საკმარისი ინფორმაციის არქონის გამო**

## ნინო ვერძულის საქმე (პარტია „საქართველოსთვის“)

ნინო ვერძული დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი იყო მანამ, სანამ 2021 წლის 13 მაისს დაკავებული თანამდებობიდან არ გაათავისუფლეს.<sup>195</sup> ამჟამად ის პარტია „საქართველოსთვის“ დუშეთის საკრებულოს პროპორციულ სიაშია.

საიას წარმომადგენელთან გასაუბრებისას ნინო ვერძულმა განმარტა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. საუბარში მან ასევე აღნიშნა, რომ მითითება გახარია გუნდის მხარდაჭერაზე გაკეთდა. მისი თქმით, ასევე უთხრეს, რომ წასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში, გათავისუფლების საფუძველს მოუძებნიდნენ და მაინც გაუშვებდნენ. მას შემდეგ, რაც ნინო ვერძულმა განცხადების დაწერაზე უარი თქვა, ის ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს.<sup>196</sup> საიას წარმომადგენელთან საუბრისას ვერძულმა აღნიშნა, რომ თანამდებობაზე დანიშნვისას მისი ერთ-ერთი რეკომენდატორი შალვა კერესელიძე<sup>197</sup> იყო. სწორედ ამან განაპირობა გახარია გუნდის მხარდამჭერად მისი აღქმა და შემდეგ უკვე - გათავისუფლება.

მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძვლები კანონით არის დადგენილი.<sup>198</sup> გათავისუფლების ბრძანება უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას<sup>199</sup> და ეფუძნება იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს ან არგუმენტებს, რომლებიც გამოიკვლია და შეისწავლა ადმინისტრაციულმა ორგანომ.<sup>200</sup> ნინო ვერძულის გათავისუფლების ბრძანებაში ეს მოთხოვნები დაცული არ არის. მასში მხოლოდ საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების მარეგულირებელი ზოგადი ნორმებია მითითებული.<sup>201</sup>

საია მიიჩნევს, რომ ნინო ვერძულის კავშირები გიორგი გახარიას პარტიასთან და სამსახურიდან დაუსაბუთებლად გამშვება სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით გათავისუფლებაზე მიუთითებს.

## გია აბულაძის საქმე (პარტია „საქართველოსთვის“)

გია აბულაძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომისიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იყო.

მისი განმარტებით, 2021 წლის 23 მაისს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ნამახვანჭვის ხელშეკრულებაზე გიორგი გახარიას ხელმოწერის არარსებობის დამადასტურებელი პოსტი, რის შემდეგაც, 24 მაისს, იგი სამსახურში დაიბარეს და წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს. პირად საუბარში მიზეზად სწორედ ამ პოსტის გაზიარება და გიორგი გახარიას მხარდაჭერა დაუსახელეს. მან განცხადების დაწერაზე უარი თქვა.

გია აბულაძე 25 მაისს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით თანამდებობიდან გათავისუფლდა.<sup>202</sup> ბრძანების მიხედვით, ამის მიზეზი მძიმე დისციპლინური გადაცდომა იყო.<sup>203</sup> გადაცდომის ფაქტის გამოვლენა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის განსაზღვრა დისციპლინური წარმოების მიზანია,<sup>204</sup> თუმცა გია აბულაძის მიმართ დისციპლინური წარმოება ბათუმის საკრებულოში არც კი დაწყებულა. ამის შესახებ ადმინისტრაციულმა ორ-

<sup>195</sup> ნ. ვერძულის დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მერიის 2021 წლის 13 მაისის №1094/ს ბრძანება.

<sup>196</sup> იქვე.

<sup>197</sup> შალვა კერესელიძე მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი და პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს წევრია, პარტია „საქართველოსთვის“ ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdqMFr>, განახლებულია: 17.09.2021.

<sup>198</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 107-ე და 108-ე მუხლები.

<sup>199</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>200</sup> იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>201</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 106-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>202</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გია აბულაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 მაისის №ბ15.15211451 ბრძანება.

<sup>203</sup> გადაცდომა გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით.

<sup>204</sup> იქვე, 86-ე მუხლი.



განომ წერილობით მას შემდეგ აცნობა, რაც გია აბულაძემ გადაცდომის შესახებ ინფორმაციის მიღება მოითხოვა.<sup>205</sup>

საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძვლები კანონით არის დადგენილი.<sup>206</sup> ბრძანება, თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას<sup>207</sup> და უნდა ეფუძნებოდეს იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებს, რომლებიც გამოიკვლია და შეისწავლა ადმინისტრაციულმა ორგანომ.<sup>208</sup> თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ შემთხვევაში დისციპლინური წარმოება, რომელიც გათავისუფლების ბრძანების საფუძვლად არის მითითებული, არც კი დაწყებულა. ამდენად, ის კანონის დარღვევით გამოიცა. საია მიიჩნევს, რომ გია აბულაძე სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით გაათავისუფლეს.

### **მინდია დავითაძის საქმე (პარტია „საქართველოსთვის“)**

2021 წლის 9 ივნისს მინდია დავითაძე,<sup>209</sup> პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის პოსტიდან გათავისუფლდა.<sup>210</sup> მან ბრძანება სასამართლოში გაასაჩივრა და თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა. იგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია. მინდია დავითაძე ამ პოზიციას 2020 წლის 25 თებერვალს, მთავრობის იმდროინდელი მეთაურის გიორგი გახარია ბრძანებით, 4 წლის ვადით დაინიშნა.<sup>211</sup>

საიას წარმომადგენელთან გასაუბრებისას მინდია დავითაძემ განმარტა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ, 2021 წლის თებერვლიდან მაისის ჩათვლით, მან არაერთხელ მიმართა მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შეხვედრის მოთხოვნით, რაზეც სხვადასხვა მიზეზით უარს იღებდა. მისი თქმით, მხოლოდ 28 მაისს მოხერხდა შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და მას სამსახურიდან წასვლა მოსთხოვეს. მიზეზი ყოფილ პრემიერთან მისი კავშირები იყო.<sup>212</sup>

იქამდე, 20 აპრილს, გამოიცა ბრძანება საქპატენტში ინსპექტირების ჩატარების თაობაზე.<sup>213</sup> 13 მაისს საქპატენტს დაუკავშირდნენ შრომის ინსპექციის სამსახურიდან და პირველად მოითხოვეს სხვადასხვა შინაარსის მოცულობითი ინფორმაცია, რომელიც უწყებას 14 მაისის 18:00 საათამდე უნდა მიეწოდებინა.<sup>214</sup> რაოდენობიდან გამომდინარე, საქპატენტმა დათქმული დროისთვის ინფორმაციის მხოლოდ ნაწილის გაგზავნა შეძლო, 18 მაისს კი ინსპექციას ის სრულად გაუგზავნა.<sup>215</sup>

24 მაისს შრომის ინსპექციამ გამოსცა სამართალდარღვევის ოქმი საქპატენტის ერთ-ერთი თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლისა და დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვის წესის დარღვევის შესახებ. დარღვევის აღმოსაფხვრელად განისაზღვრა 20-დღიანი ვადა.<sup>216</sup>

28 მაისს მინდია დავითაძის უწყებამ შრომის ინსპექციის დასკვნასთან დაკავშირებით საჩივარი წარადგინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოცია-

<sup>205</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პასუხი გია აბულაძის №19/15211473-15 განცხადებაზე.

<sup>206</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 107-ე და 108-ე მუხლები.

<sup>207</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>208</sup> იქვე, მე-5 ნაწილი.

<sup>209</sup> ამჟამად იგი პარტია „საქართველოსთვის“ აღმასრულებელი მდივნის მოადგილეა.

<sup>210</sup> მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანება.

<sup>211</sup> მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 25 თებერვლის №46 ბრძანება.

<sup>212</sup> საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის წინააღმდეგ.

<sup>213</sup> იქვე.

<sup>214</sup> იქვე.

<sup>215</sup> იქვე.

<sup>216</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი №002103.

ლური დაცვის სამინისტროში,<sup>217</sup> რომელმაც მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.<sup>218</sup> სამინისტროს უარი 8 ივნისს სასამართლოში გასაჩივრდა.<sup>219</sup>

9 ივნისის მინდია დავითაძე, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.<sup>220</sup> 5 ივლისს საქპატენტის მიერ წარდგენილი სარჩელი საქპატენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა სასამართლოდან გამოიხმო.<sup>221</sup>

მინდია დავითაძის გათავისუფლების ბრძანებაში მოტივად მითითებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ მასზე დაკისრებული უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება.<sup>222</sup> კანონით განსაზღვრულია სსიპ-ის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები,<sup>223</sup> რომლის მიხედვითაც, შესაბამისი აქტი დასაბუთებული უნდა იყოს.<sup>224</sup> თუმცა, ამ შემთხვევაში ბრძანებაში მხოლოდ კანონის შესაბამისი ნორმაა ციტირებული<sup>225</sup> და არ დგინდება, რაში გამოიხატა მინდია დავითაძის მიერ უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება. მინდია დავითაძემ სასამართლოს მიმართა. თავის სარჩელში მან, სხვა საკითხებთან ერთად, სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებად მოითხოვა პრემიერ-მინისტრისთვის საქპატენტის თავმჯდომარის (გარდა მოვალეობის შემსრულებლისა) დანიშვნის აკრძალვა დავის გადაწყვეტამდე. მოსარჩელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

მინდია დავითაძე ყოფილ პრემიერ გახარიასთან დაახლოებული პირია. გიორგი გახარიას შს მინისტრობის დროს დავითაძე სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ხოლო გახარიას პრემიერ-მინისტრობის დროს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო. საია მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების მაგალითია.

<sup>217</sup> საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრის 2021 წლის 28 მაისის №1968 საჩივარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.

<sup>218</sup> საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის მინდია დავითაძის 2021 წლის 28 მაისის №1968 (რეგისტ: №2466) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ შრომის ინსპექციის 2021 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>219</sup> საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის წინააღმდეგ.

<sup>220</sup> მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანება.

<sup>221</sup> მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ივლისის №4-ა/275-21 განჩინება.

<sup>222</sup> მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანების „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>223</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>224</sup> იქვე, მე-4 პუნქტი.

<sup>225</sup> მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანება.